საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/200
10.02.2026

ბრძანება

200-01-4-202602100901

მოვაჭრე ლუკა მამულაშვილის (პ/ნ 01217067376) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე საქმის შესწავლის დასრულების თაობაზე

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის მე-8 პუნქტის, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-12 მუხლისა და მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2026 წლის 9 თებერვლის №04/189 ბრძანებით ლუკა მამულაშვილის (პ/ნ 01217067376) მიმართ დაწყებული საქმის შესწავლა დასრულდეს მოვაჭრის მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე, ამ ბრძანების დანართის შესაბამისად, პირობითი ვალდებულების აღების თაობაზე მოვაჭრესა და სააგენტოს შორის გაფორმებული შეთანხმების გათვალისწინებით.
2. ლუკა მამულაშვილს (პ/ნ 01217067376) დაევალოს, პირობითი ვალდებულების თაობაზე წერილობითი შეთანხმების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში შეასრულოს სააგენტოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებები.
3. ეს ბრძანება, პირობითი ვალდებულების აღების თაობაზე გაფორმებულ შეთანხმებასთან ერთად, გაეგზავნოთ მხარეებს და ინფორმაცია განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

საფუძველი: ლუკა მამულაშვილის (პ/ნ 01217067376) მიერ პირობითი ვალდებულების აღების თაობაზე სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოსა და მოვაჭრე - ლუკა მამულაშვილს (პ/ნ 01217067376) შორის გაფორმებული 2026 წლის 5 თებერვლის შეთანხმება.

ირაკლი ლექვინაძე



თავმჯდომარე